

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 14

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

24 დეკემბერი 2019 წელი
14 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, ოლეგი მიქელთაძე. თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი პროექტების განხილვის შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე.

2. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის განხილვა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი პროექტები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება 2017 წლის N 40 დადგენილებაში, მოხდა თანადებობრივ სარგოებში ცვლილება და წარმოადგინა ეს ცვლილებები.

მუნიციპალიტეტის მერი -3380.

მერის პირველი მოადგილე- 2380.

მერის მოადგილე -2280.

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -1650.

მერიის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში -1100.

ასევე „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება 2017 წლის N 39 დადგენილებაში, მოხდა თანამდებობრივ სარგოებში ცვლილება და წარმოადგინა ეს ცვლილებები.

- 1 საკრებულოს თავმჯდომარე პოლიტიკური თანამდებობის პირი -3380
- 2 საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პოლიტიკური თანამდებობის პირი -2380
- 3.დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი - 1650.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:
წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის განხილვა 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ჩატარა 13 კომისიის სხდომა, აქედან 2 იყო რიგგარეშე. სხდომაზე განხილული იყო სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს სხდომებზე მობრძანებისთვის და სხვადასხვა საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე